პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 160 (19901) კვირა, 12 ივლისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გაზეთ „პრავდის“ ზიმდინარე წლის 7 ივლისის მოწინავე წერილში იმათ შორის, ვინც ჩაშალა გეგმის შესრულება მანქანათმშენებლობის კომპლექსის ობიექტებზე, მოხსენიებულია საქართველოც. ჩვენ მკითხველს შევპირდით, რომ ამ საკითხს განმარტავდა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელობა.

გვიპასუხებს საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე გ. ლისიციანი.

გაზეთ „პრავდაში“ სამართლიანად გაგვაკრიტიკეს, თუმცა ჩვენი სამინისტროს მასშტაბით საერთოდ მანქანათმშენებლობის ობიექტების აგების ექვსი თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ზოგ ობიექტზე ჯერ კიდევ ვერ გარდაიქმნა მუშაობა. არ არის რეალიზებული ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის მშენებლობის დამთავრების დავალება, მთელი ფრონტით ვერ გავშალეთ სამუშაოები ტექნიკური დოკუმენტაციის უქონლობის გამო, ვერ ავითვისეთ 170 ათასი მანეთის

ვაუმენოთ სწრაფად და კარგად

ასეთია ეკონომიკის ძირითადი დარგის გადაუდებელი ამოცანები

«Правда»

სამუშაოები. საწარმოო გაერთიანების „საქსოფლმანქანის“ კოლექტივისათვის უნდა დაგვეწყო საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, მაგრამ დღემდე გაჩერებული ვართ ისევ და ისევ საპროექტო დოკუმენტაციის უქონლობის გამო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანების გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობა ფაქტობრივად დამთავრებულია, მაგრამ მოწყობილობა-დანადგარების უქონლობის გამო ობიექტი ვერ ჩავაბარეთ.

თუ შემკვეთი ორგანიზაცია ამ საქმეს ვერ მოაგვარებს საფრთხის წინაშე დგება ამ ობიექტის მესამე კვარტალში ამოქმედების გეგმა. მესამე კვარტალში უნდა დამთავრდეს აგრეთვე ახალქალაქის საბაგირო გზების დანადგართა გამომშვები ქარხნისა და მისი გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა. აქ შესასრულებელია მილიონი მანეთის სამუშაოები, მაგრამ ობიექტს ვადისათვის ვერ გადავაცემთ საექსპლოატაციოდ.

მიუხედავად იმისა, რომ მუშაობას ხშირად აფერხებს საჭირო მექანიზმების უქონლობა, შეიძლება ითქვას, რომ მანქანათმშენებლობის კომპლექსის ობიექტების მშენებლობაზე მექანიზმები არ აკლიათ. მაგრამ ეტყობა მეტი მონდომებაა საჭირო,

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში მეორე კვარტალიდან ყოველი თვის პირველ რიცხვებში იმართება სპეციალური თათბირები, სადაც ისილავენ მანქანათმშენებლობის კომპლექსის ობიექტებზე არსებულ მდგომარეობას. რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელობა ყველაფერს იღონებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, მანქანათმშენებლობის კომპლექსის ობიექტების დროული ამოქმედებისათვის.

ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 10 ივლისი. (საკდესი). იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი კვლავ ასრულებენ დაგეგმილ სამუშაოებს „მირ“ პილოტირებულ კომპლექსში.

„შუქბლოკის“ დანადგარზე ბიოლოგიური კვლევის პროგრამით შესრულდა ექსპერიმენტების სერია სინთეზური ჰელიუმის მიღების მიზნით. მას დედამიწაზე გამოიყენებენ ნივთიერებათა ელექტროფორეზული წმენდის დროს.

„პროგრეს-30“ ავტომატური ხომალდის ძრავის დანადგარის დამარცხით მოეწყო ორბიტული კომპლექსის მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია.

შესრულდა გეოფიზიკური ექსპერიმენტების მორიგი სერია. ფოტოგადაღებათა რაიონებად შეირჩა ყირიმისა და კრასნოდარის მხარის ტერიტორიები.

დღის პროგრამაში შეტანილია აგრეთვე ეკიპაჟის სამედიცინო გამოკვლევები, სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემის პროფილაქტიკური სამუშაოები, ორსათიანი ფიზიკური წვრთნა.

„მირ“ პილოტირებული კომპლექსის ფრენა დასახული პროგრამით მიმდინარეობს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სამეურნეო ანგარიში: დღევანდელობის მოთხოვნების დონეზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სამეურნეო ანგარიშის, შრომის ორგანიზაციის სხვა პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვისათვის პარტიის ყვარლის რაიკომის ორგანიზატორული მუშაობის საკითხი.

აღინიშნა, რომ რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა უკანასკნელ ხანს რამდენადმე გააქტიურეს მუშაობა ამ მიმართულებით. მაგალითად, 1986 წლის დამლევისათვის სამეურნეო ანგარიშის პრინციპით მთლიანად მუშაობდა 193 საწარმოო ქვეგანაყოფი (70 პროცენტი), რომლებმაც მიიღეს მარცვლეულის 72 პროცენტი, ყურძნის 47 პროცენტი, ბოსტნეულის — 24 პროცენტი, რძის — 80 და ქვერცხის — 60 პროცენტი რაიონში წარმოებული ამ პროდუქციის საერთო რაოდენობიდან. ხორცილღება წელს კოლეტიურ იჯარაზე ყველა უბნისა და რგოლის გადაყვანის ღონისძიებანი. წლის დამდეგიდან მეურნეობრიობის ახალი მეთოდი შეისწავლა 300-ზე მეტმა სპეციალისტმა და საშუალო რგოლის ხელმძღვანელმა, გამოყოფილია ორი საბაზო მეურნეობა შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმების დასანერგავად.

ამავე დროს, პარტიის რაიკომის ორგანიზატორული მუშაობა პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების დარაზმვისათვის იმ მიზნით, რომ ყველგან დანერგოს სამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარა, გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება დარგის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის საფუძველზე, არსებითად ჩამორჩება პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნებს.

იმის მიუხედავად, რომ პარტიის რაიკომმა და რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ თავიანთ სხდომებზე არაერთხელ განიხილეს შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვის საკითხები, ამას ქმედითი უკუგება არ მოჰყოლია. მეტი წილი პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მინდობილ საქმეს სათანადო ინიციატივით არ ეკიდებიან, ფორმალურად უდგებიან.

მეურნეობებში, საბაზოს გარდა, არ დაუნერგავთ დანახარჯების აღრიცხვისა და კონტროლის საჩეკო ფორმა, შეუთანხმებლად მუშაობენ საგეგმო, ეკონომიკური და საბუღალტრო სამსახურები. მინდვრებისა და ფერმების მუშაკთა შრომის ანაზღაურება დაკავშირებული არ არის მათი მუშაობის საბოლოო შედეგებთან. სამეურნეო ანგარიშის დანერგვაზე მუშაობენ, როგორც წესი, მხოლოდ ეკონომიკური სამსახურები, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებისა და მეურნეობათა სპეციალისტები კი ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისაგან განზე დგანან.

დამაკმაყოფილებლად არ იყენებენ რაიონის სოფლის მეურნეობაში არსებულ საწარმოო პოტენციალს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარებაში დამკვიდრდა უძრაობის მოვლენები, ქრონიკულად არ სრულდება მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გეგმები. საქმე იქამდე მივიდა, რომ წარსულში მოწინავე მეურნეობებმა — ქინძმარაულის, ენილოს საბჭოთა მეურნეობებმა, სოფლების შილდის, საბუის, ჭიკაანის, ბალღოჯიანისა და სხვა კოლმეურნეობებმა დათმეს პოზიციები, ფაქტობრივად არსებობენ დანამატებისა და დოტაციური სახსრების ხარჯზე.

საკმარისი ყურადღება არ ეთმობა სიმინდის, ბოსტნეულის, ხილის მოვლა-მოყვანას. ვერ იყენებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გასაზრდელად ინტენსიური ტექნოლოგიების შესაძლებლობებს. კერძოდ, სოფლების შილდის, ჭიკაანის, ბალღოჯიანის კოლმეურნეობებსა და ახალსოფლის სანერგე საბჭოთა მეურნეობაში არ შესრულებულა ინდუსტრიული ტექნოლოგიით მარცვლეულის წარმოების გეგმები.

არადამაკმაყოფილებელი ვითარება შეექმნა რაიონისათვის ტრადიციულ მევენახეობის დარგში. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელები, მეურნეობათა სპეციალისტები, პირველადი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, ურიგდებიან ყუაირათობის ფაქტებს, თვითდინებაზე მიუშვეს საქმე. ხშირი სეტყვის გამო მოსავლის დანაკარგებს დაემატა არანაკლებ საგრძნობი დანაკლისი დიდი სიმეჩხრის გამო, რაც უკანასკნელ ოთხ წელიწადში მსხმოიარე ვენახებში გაიზარდა 17,7-დან 21 პროცენტამდე, სოფლების საბუის, შილდის, ქინძმარაულის, გრემის, ახალსოფლის საზოგადოებრივ მეურნეობებში კი 26 პროცენტს მიაღწია. და ეს იმ დროს, როცა სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის ყოველწლიურად დიდძალი სახსრები იხარჯება.

ბევრი ნაკლია მეცხოველეობის განვითარებაშიც. სათანადო დონეზე ვერ დგას ზოოტექნიკური და საველერინარო სამსახური. მცირეა ნამატი, პირუტყვის საშუალოსადღეღამისო წონამატება.

ყურადღებას იპყრობს რაიონის მეურნეობათა ძმიმე ფინანსური მდგომარეობა, რომლებსაც ყველა პირობა აქვთ პროდუქტიული მუშაობისათვის. მაგალითად, 17 კოლმეურნეობიდან და საბჭოთა მეურნეობიდან რვა მკირენტაბელური და ზარალიანია. 1981-1986 წლებში მათ შესასყიდი ფასების დანამატებისა და დოტაციების სახით მიიღეს 16,6 მილიონ მანეთზე მეტი, მაშინ როცა მოგების მიღების გეგმის შესრულებას დააკლდა 44 მილიონი მანეთი.

დანამატების, დოტაციების გამოყენებასთან დაკავშირებული ასეთი ვითარება მნიშვნელოვანწილად წარმოშობს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების, მეურნეობების ხელმძღვანელობისა და სპეციალისტთა სხვისი მოიმედობის გაწყობლებას, ამცირებს მათს აქტიურობას წარმოების განვითარებაში არსებული რეზერვების ეფექტიანი გამოყენების საქმეში.

მუშაობის ეს და სხვა ნაკლოვანებანი და ხარვეზები იმის შედეგია, რომ პარტიის რაიკომი ხშირად კონკრეტული ორგანიზატორული მუშაობის მაგივრად იღებს სხვადასხვაგვარ დადგენილებებსა და მითითებებს. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები და სპეციალისტები ჯეროვნად არ არიან დაუფლებული მართვის ეკონომიკურ მეთოდებს, არ გრძნობენ სათანადო პასუხისმგებლობას მინდობილ უბნებზე მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის.

პირველადი პარტორგანიზაციების უმრავლესობას ახასიათებს მუშაობის ზერელე სტილი. აქ არ ესმით, თუ რა მნიშვნელობა აქვს წარმოებაში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის გაძლიერებას. მთელ რიგ შემთხვევებში კი საწარმოო ქვეგანაყოფები საერთოდ პარტიული გავლენის გარეშე არიან დატოვებული. სოფელ ჭიკაანის კოლმეურნეობის, ახალსოფლის სანერგე და ენილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების 17 ბრიგადაში არ არის არც ერთი პარტიის წევრი.

რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებასა და მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე საგრძნობ გავლენას ვერ ახდენენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები. განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, არ იგრძნობა რესპუბლიკის სახაგრომრეწვის შესაბამისი სამსახურების რამდენადმე არსებითი დახმარებაც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არადამაკმაყოფილებლად ცნო პარტიის ყვარლის რაიკომის, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობა დღევანდელობის მოთხოვნათა მიხედვით მეურნეობრიობის ახალი ეკონომიკური მეთოდების ასათვისებლად.

მიღებულ დადგენილებაში პარტიის რაიკომის ბიუროს, მის პირველ მდივანს ი. ი. მოლაშვილს დაეალათ უმოკლეს ვადებში გარდაქმნან ორგანიზატორული მუშაობის სტილი და მეთოდები ყველა რგოლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით, მოახმარონ გი კომუნისტთა, ყველა მშრომელს აქტიურობის გაზრდას, იმ მიზნით, რომ ყველგან დანერგონ წარმოებაში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმები.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ დაბალრენტაბელური და ზარალიანი მეურნეობების ჩამორჩენის დაძლევის ღონისძიებანი, მიიღონ კონკრეტული ზომები მათი ეკონომიკის აღმავლობისათვის. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ზრდის შესაბამისი დავალებანი მიეცათ რესპუბლიკის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელზეც მოისმინეს სახმშენის ინფორმაცია საბინაო-სამოქალაქო და საწარმოო დანიშნულების შენობებსა და თბოქსელებში სითბოს დანაკარგების შემცირების ღონისძიებათა შესახებ.

აღინიშნა, რომ 1986 წელს საექსპლოატაციოდ გადაცემულ მეტ წილ საცხოვრებელ სახლებში შემოწმების დროს გამოვლინდა ხარვეზები და დეფექტები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ხელს უწყობენ სითბოს დანაკარგების ზრდას. სსრ კავშირის მშენებლობა რესპუბლიკის ანგარიშგებიდან ამოიღო 173 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. განვლილი წლის მანძილზე სითბოს ზენორმატიულმა ხარჯვამ შეადგინა დაახლოებით სამი მილიონი კუბური მეტრი, ანუ 25,5 ათასი ტონა პირობითი სათბობი.

მშენებლობის სამინისტროს, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს, სახაგრომრეწვის რესპუბლიკური გაერთიანება „სახაგრომშენის“, თბილისის, სოხუმის, რუსთავისა და ცხინვალის საქალაქო აღმასკომების, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის და წითელწყაროს რაიონმასკომების ყურადღება მიიპყრეს იმას, რომ საკმარის მუშაობას არ ეწევიან იმ ღონისძიებათა რეალიზაციისათვის, რომელთა მიზანია სითბოს დანაკარგების შემცირება საბინაო-სამოქალაქო და საწარმოო დანიშნულების შენობებსა და თბოქსელებში. მათ დაეკალათ განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი მომავალში სითბოს დანაკარგების თავიდან ასაცილებლად.

აღინიშნა თბილისის „მიკრომრავის“ ქარხნის დირექტორის ამხ. ნოზაძის, ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის დირექტორის ამხ. ასათიანის, „ელექტროზოლიტის“ ქარხნის დირექტორის ამხ. ტყავაძის, რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის დირექტორის ამხ. მოსიაშვილის, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ დირექტორის ამხ. კერვალიშვილის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ზამთრის სეზონისათვის საქვეყნებო საწარმოთა მომზადებისა და სითბოს დანაკარგების შემცირების ღონისძიებათა განხორციელებისადმი.

ცნობად არის მიღებული, რომ სამშენებლო ნორმებისა და წესების დარღვევისათვის, რასაც მოჰყვა რესპუბლიკის 1986 წლის ობიექტების ჩაბარების ანგარიშგებიდან მთელი რიგი საცხოვრებელი სახლების, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ამოღება, მშენებლობის სამინისტროს, კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს, სახმშენის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და რესპუბლიკის მთელი რიგი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელები მკაცრად დაისაჯნენ.

განიხილეს საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს ბინებისა და სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა რესპუბლიკის სახაგრომრეწვის სისტემაში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში. აღინიშნა, რომ, თუმცა შესრულდა სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის გეგმა, მაგრამ მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა საცხოვრებელი სახლებისა და კულტურის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულებაში. ოპერატიული მონაცემებით, გეგმით გათვალისწინებული 20.311 კვადრატული მეტრი ბინების ჩაბარების ნაცვლად, ჩაბარდა 12.088 კვადრატული მეტრი, ანუ 60 პროცენტი. კულტურის ობიექტების მიხედვით გეგმით დასახული 1500 მაყურებლისათვის გათვალისწინებული ადგილის ნაცვლად გადაეცა მხოლოდ 800 ადგილი.

სახაგრომრეწვსა და მშენებლობის სამინისტროს მიეცათ კონკრეტული დავალებანი, რომ რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან ჩამორჩენა რესპუბლიკის სახაგრომრეწვის სისტემის სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების მშენებლობისა და ამოქმედების საგეგმო დავალებათა შესრულებაში.

სხდომაზე მიღებულია დადგენილება „პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებაში მისი როლის გაზრდის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად საბაზო საწარმოთა საქმიანობის გააქტიურების დამატებითი ღონისძიებების თაობაზე“. აღინიშნა რა, რომ ამ მხრივ გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება რეფორმის ძირითად მოთხოვნებს, პრეზიდიუმმა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სახმომარაგებას, საბაზო სამინისტროებსა და უწყებებს, სახაგრომრეწვს და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს დაავალა შესაბამისად შეიმუშაონ და განახორციელონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაფართოების, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, კვალიფიციური კადრების მომზადების სრულყოფის, ამ სასწავლებელთა კურსდამთავრებულებისათვის შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების საჭირო პირობების შექმნის ღონისძიებანი.

წარმოებაში ახალი და უკმარი საქონლის გამოშვების დანერგვის, სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში მოთხოვნის შესწავლისათვის მუშაობის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის, სხვადასხვა სარეკლამო ღონისძიების გაუმჯობესებისა და განვითარების საკითხებზე რეკომენდაციებისა და კონკრეტული წინადადებების შემუშავების მიზნით რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსთან შეიქმნა სახალხო მოხმარების საქონელზე მოთხოვნის შესწავლის, წარმოებაში დანერგვისა და რეკლამის საუწყებათშორისო საბჭო.

განიხილეს აგრეთვე საკითხი, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიის 1987 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებანი.

წიაღის დაცვის მდგომარეობის, მინერალური რესურსების რაციონალური და კომპლექსური გამოყენების შემდგომი გაუმჯობესებისა და სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ათვისების დროს სახელმწიფო ინტერესების სათანადო უზრუნველყოფისათვის დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა ჯეროვანი წესრიგი დამყარდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წიაღის გამოყენებაში.

მიღებულია საქკორორტის წინადადება ექსპერიმენტის წესით მისი საქვეყნებო სამეურნეოანგარიშანი სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადაყვანის შესახებ.

პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს სხვა სახალხო-სამეურნეო და ორგანიზაციული საკითხები. (საქინფორმი).

ნ. ი. რიჟკოვი მოსკოვს გამოემგზავრა

ვენა, 11 ივლისი (საკდესი). დღეს ვენიდან მოსკოვს გამემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იყო ავსტრიაში.

შვეპატის საერთაშორისო აეროპორტში იგი გამოაცილეს ფედერალურმა კანცლერმა ფ. ვრანიცკიმ, ვიცე-კანცლერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. მოკმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

აეროდრომზე აღმართული იყო სსრ კავშირისა და ავსტრიის სახელმწიფო დროშები. შესრულდა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები. ნ. ი. რიჟკოვმა და ფ. ვრანიცკიმ ჩაუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს.

ჩვენს დიად სამშობლოში

საკავშირო კორესპონდენტები გვატყობინებენ

XXI საუკუნის კარიბჭესთან











◆ **თურქმენეთის სსრ. „მთავარყარაყუმშენის“** გაერთიანების № 26 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მელიორატორები უტევენ ყარაყუმს, ასათვისებლად ამზადებენ ოვადან-დეპეს უდაბნოს მასივს. 11-კილომეტრიანი დაბეტონებული არხით იგი აშხაბადის მახლობლად შექმნილი წყალსაცავიდან, მიიღებს მაცოცხლებელ ტენს. არხის ფსკერზე მშენებლები აგებენ ბეტონის ფილებს, ნაწიბურებს ამუშავებენ საიზოლაციო მასალით, რაც ხელს შეუწყობს მისი გამტარუნარიანობის გადიდებას, მნიშვნელოვნად შეამცირებს წყლის ფილტრაციას.

• • •

სურათზე: არხის მშენებლობის ერთი მონაკვეთი.

◆ **უაზახეთ-ალტაის** საზღვარზე გავიდნენ ეკიბასტუზ-ბარნაულის 1150 კილოვოლტი ძაბვის უნიკალური მაღალძაბვიანი ელექტრო-გადამცემი ხაზის მშენებლები.

ეკიბასტუზის მშენებარე სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი მუდმივი და ცვლადი დენის უნიკალური ენერგოხიდებით დაუკავშირდება ევროპას, ურალს, დასავლეთ ციმბირს... ამგვარ ზემაღალი ძაბვის ხაზებს არა აქვთ ანალოგები მსოფლიო პრაქტიკაში.

◆ **სურათზე:** შავი მეტალურგიის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიაში ყველაზე თანამედროვე ტექნიკა საშუალებას იძლევა გადაწყდეს ინსტიტუტის კონკრეტულ ამოცანებთან დაკავშირებული ურთულესი გამოკვლევები მეტალურგიაში.

◆ **ირკუტსკის** ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრაზე შეიმუშავეს და იყენებენ იმ ავადმყოფთა მკურნალობისა და ოპერაციის ახალ აპარატურასა და მეთოდებს, რომლებსაც აწყობენ არტერიული ჰიპერტონია. სისხლძარღვთა დაავადებანი, პანკრეასი და რბილ ქსოვილთა ციმო. ასეთი ოპერაციებისათვის ხელსაწყოს საფუძვლად უდევს დაბალ ტემპერატურათა და თხევადი აზოტის გამოყენება.

სურათზე: მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. კულიკოვი, კლინიკური ორდინატორი ქირურგი ა. იდრისოვი და პროფესორი ა. კოგანი ირკუტსკის რკინიგზის საავადმყოფოში კრიოკირურგიული ოპერაციის წინ.

◆ **რომას** ვენეცუელი, უეჭველია, ყველაზე პოპულარული კაცია ლიტვის საკოლმეურნეობათა-შორისო ჯანმრთელობის კერების რესპუბლიკური გაერთიანების ბირშტონასის სანატორიუმ „ვერსმეს“ პერსონალს შორის. მაღლობას უთვლიან მას ჭვეყნის ყველა კუთხიდან. იგი სპეციალდება მექანოთერაპიაში, ესე იგი, სამკურნალო მიზნით სპორტული იარაღების, სპეციალური ტექნიკური საშუალებების გამოყენებაში.

ბირშტონასში რომას ვენეცუელს იცნობენ აგრეთვე როგორც შესანიშნავ ხის მეჩუქურთმეს. 1978 წელს მან მიიღო „ხალხური ოსტატის“ წოდება, მისი ხის სკულპტურული კომპოზიციები ამშვენებს ბირშტონასსა და მის მიდამოებს.

სურათზე: სახალხო ოსტატი რომას ვენეცუელი და მისი ნამუშევრები.

◆ **ციმბირის** ტყის სიმდიდრეთა დაცვისა და გამრავლებისათვის იღვწის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ვ. ნ. სუხაჩევის სახელობის ტყისა და მერქნის ინსტიტუტი. მარტო ამ ბოლო ათწლეულში პრაქტიკოსებმა დარგის სხვადასხვა რგოლში გამოსაყენებლად მიიღეს ინსტიტუტის 50-ზე მეტი ფრიად საგულისხმო წინადადება.

სურათზე: უფროსი ინჟინერი ბორის პოგოდინი, ინჟინერი თამარ ხედელნიკოვა და ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობაში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი სტანისლავ ეფრემოვი.

დღეს ნომერშია:

◆ გვპირდება ნოვატორი კადრები — აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნა სახაგრომრეწვის მუდმივი ყურადღების ცენტრშია. (მე-2 გვ.)

◆ წერილი რედაქციას — რთულ რელიეფსაც ათვისებენ უნდა. (მე-2 გვ.)

◆ პარტნიორია გულგარეთის ფირმა. (მე-2 გვ.)

◆ ჩვენი სადისკუსიო კლუბი. არა მხოლოდ თეატრზე — ანუ რა ვაკეთეთ, რას ვფრაგმენტდით... (მე-3 გვ.)

◆ არ დავიწყებია მოუვრისა — საქართველოს კოლონელი მეგობარი. (მე-3 გვ.)

◆ საერთაშორისო ცხოვრების ამბები. (მე-4 გვ.)

◆ სპორტული ინფორმაცია. (მე-4 გვ.)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი: დავაჩქაროთ და გავაღრმავოთ გარდაქმნა

გარდაქმნის წარმატებას, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე, გადამწყვეტწილად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად სწრაფად და ღრმად განიმსჭვალება ჩვენი კადრები რევოლუციური ცვლილებების საჭიროების გაგებით, რამდენად შეუპოვრად, ენერგიულად და კომპეტენტურად იმოქმედებენ ისინი.

ამ მოთხოვნის შესაბამისად რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი მიზანმიმართულ მუშაობას ეწევა, გულისყურით ეკიდება დემოკრატიისა და სიხაროობის ფართოდ დანერგვას; მრავალკანდიდატურიანობის, არჩევითობის პრინციპით დაიკავეს თანამდებობა ამ დღეებში: ახმეტის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ი. ჯამრულიძემ, ამავე რაიონის მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ვ. ტურაშვილმა, მახარაძის რაიონის ხვარბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თ. თაგბერიძემ და სხვ.

სისტემაში საკადრო მუშაობის გარდაქმნის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესება. ამჟამად ყველა დონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეებს, მათს მოადგილეებს, გადამმუშავებელი საწარმოების დირექტორებს უმაღლესი განათლება აქვთ. საბჭოთა მეურნეობების 555 დირექტორიდან კი — 544-ს.

ცოტა როდი გვყავს საწარმოების, მეურნეობათა ხელმძღვანელები, რომლებიც ახლებური, საზრიანი მუშაობით მინდობილ უბანზე სტაბილურ წარმატებებს აღწევენ. მაგრამ ყველა ხელმძღვანელი როდი ამართლებს ნდობას; ამიტომ, ბუნებრივია, ამგვარ კადრს ხელმძღვანელობის უფლება არა აქვს. მარტო შარშან განთავისუფლდა რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა 5 თავმჯდომარე, საბჭოთა მეურნეობის 98 დირექტორი, კოლმეურნეობათა 125 თავმჯდომარე და გადამმუშავებელ საწარმოთა 54 ხელმძღვანელი. კადრების შემადგენლობაში ეს დიდი ცვლილებები იმის შედეგია, რომ ადგილებზე ჯეროვნად არ სწავლობენ დასაწინაურებელთა საქმიან და ორგანიზატორულ თვისებებს, ზერელობას იჩენენ მათს შერჩევაში. მაგალითად, გაგრის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილედ მექანიზაციის და ელექტროფიკაციის დარგში დასაწინაურებული იყო ი. ტოროსიანის კანდიდატურა, რომელსაც, გარდა იმისა, რომ არ აქვს სოფლის მეურნეობაში პრაქტიკული გამოცდილება, სპეციალობით მათემატიკის მასწავლებელი და თეგზის წარმოების ტექნოლოგია. რა თქმა უნდა, მის დანიშვნაზე კომიტეტმა უარი თქვა. ამგვარივე მიზეზით ადიგენის საკონსერვო ქარხნის დირექტორად არ. დაინიშნა პ. ბაგდოშვილი. გულარხეინობას შეეჩვევნენ ზოგიერთი აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეები, საზოგადოებრივი მეურნეობისა და გადამმუშავებელი საწარმოს ხელმძღვანელები. ახმეტის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების არაორგანიზებული და მოუქნელი მუშაობით საბჭოთა მეურნეობებმა შარშან ჩაშალეს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები. გაერთიანების თავმჯდომარე ჯ. ჯავახიშვილი მრავალჯერ დაჰპირდა კოლეგიას, რომ გარდაქმნიდა მუშაობას, მაგრამ ამაოდ, იგი თვითნებობდა კადრების შერჩევისას, ვერ ერკვეოდა შრომის კანონმდებლობაში. ამიტომ იგი გათავისუფლეს თანამდებობიდან, ხოლო გაერთიანების ხელმძღვანელ და დარგობრივ სპეციალისტთა საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად ცნეს.

მინდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების და სოციალისტური საკუთრების განიავება-დატაცების ხელშემწყობი პირობების აღსაკვეთად ზომების მიღებლობისათვის, რასაც მოჰყვა მეცხოველეობის პროდუქტებისა და პურუყვის დანაკლისი, ყალბ საფუძველზე თანხების გაცემა და სხვა დარღვევები, წულუკიძის რაიონის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის დირექტორი ვ. კირთაძე გადაყენებულია თანამდებობიდან.

დაქვემდებარებული საწარმოების დირექტორი ბ. ღვინიაშვილი, ლენტეხის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გ. ტვილიანი და სხვები.

კადრებთან მუშაობის გაუმჯობესებას დიდად უწყობს ხელს დასაწინაურებელთა რეზერვის შექმნა. ამ მიზნით სპეციალური დებულების საფუძველზე კომიტეტის კადრებისა და საგარეო ურთიერთობის მთავარი სამმართველო გარკვეულ მუშაობას ეწევა დარგობრივ სამმართველოებთან, ადგილობრივ აგროსამრეწველო გაერთიანებებთან ერთად.

ამჟამად საქსახაგრომრეწვის ნომენკლატურული თანამდებობის რეზერვისათვის პარტიის რაიკომებთან შეთანხმებით შერჩეულია სისტემის 2.000-ზე მეტი ხელმძღვანელი მუშაკი და სპეციალისტი. ესენი ძირითადად არიან ახალგაზრდა, საქმის მცოდნე, უნარიანი და ინიციატივიანი ამხანაგები, რომლებიც სტაჟირებას გადიან დასაკავებელი თანამდებობის მიხედვით, კვალიფიკაციას იმაღლებენ სპეციალური პროგრამით, მონაწილეობენ კომპლექსურ შემოწმებებში, ამზადებენ საკითხებს კოლეგიაზე განსახილველად და ა. შ. მარტო შარშან და წლეულს რეზერვიდან დაწინაურდა 130-ზე მეტი მუშაკი. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ მოსაგვარებელია. ზოგან დაკმაყოფილდნენ მხოლოდ რეზერვთა სიების შედგენით. ცალკეულ რეგიონებში მეურნეობების, სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელებად რეკომენდაციას უწევენ ისეთ პირებს, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ სოფლის მეურნეობასთან და გადამმუშავებელ მრეწველობასთან, სარეზერვო კადრები კი კვლავ რეზერვად რჩება.

აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნა საქსახაგრომრეწვის მუდმივი ყურადღების ცენტრშია. ამასთან დაკავშირებული საკითხები დროდადრო განიხილება კომიტეტის კოლეგიის სხდომებზე. ამას წინათ კოლეგიამ განიხილა საკითხი, თუ როგორ გარდაქმნის სამრეწველო გაერთიანების არაორგანიზებული და მოუქნელი მუშაობით საბჭოთა მეურნეობებმა შარშან ჩაშალეს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები. გაერთიანების თავმჯდომარე ჯ. ჯავახიშვილი მრავალჯერ დაჰპირდა კოლეგიას, რომ გარდაქმნიდა მუშაობას, მაგრამ ამაოდ, იგი თვითნებობდა კადრების შერჩევისას, ვერ ერკვეოდა შრომის კანონმდებლობაში. ამიტომ იგი გათავისუფლეს თანამდებობიდან, ხოლო გაერთიანების ხელმძღვანელ და დარგობრივ სპეციალისტთა საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად ცნეს.

მინდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების და სოციალისტური საკუთრების განიავება-დატაცების ხელშემწყობი პირობების აღსაკვეთად ზომების მიღებლობისათვის, რასაც მოჰყვა მეცხოველეობის პროდუქტებისა და პურუყვის დანაკლისი, ყალბ საფუძველზე თანხების გაცემა და სხვა დარღვევები, წულუკიძის რაიონის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის დირექტორი ა. მქოიანი, საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ბ. ბერიძე, ბოლნისის რაიონის ბოლნისის ღვინის ქარხნის დირექტორი ს. ავაზაშვილი, ახალქალაქის რაიონის გულაკიმის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. ბერიძე, ასპინძის რაიონის ასპინძის ღვინის ქარხნის დირექტორი ბ. ბერიძე, ბორჯომის რაიონის ბორჯომის ხელმძღვანელები. ახმეტის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ორგანიზებულ და მოუქნელ მუშაობით საბჭოთა მეურნეობებმა შარშან ჩაშალეს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები. გაერთიანების თავმჯდომარე ჯ. ჯავახიშვილი მრავალჯერ დაჰპირდა კოლეგიას, რომ გარდაქმნიდა მუშაობას, მაგრამ ამაოდ, იგი თვითნებობდა კადრების შერჩევისას, ვერ ერკვეოდა შრომის კანონმდებლობაში. ამიტომ იგი გათავისუფლეს თანამდებობიდან, ხოლო გაერთიანების ხელმძღვანელ და დარგობრივ სპეციალისტთა საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად ცნეს.

გვჭირდება ნოვატორი კადრები

მინდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლობა დამოკიდებულების და სოციალისტური საკუთრების განიავება-დატაცების ხელშემწყობი პირობების აღსაკვეთად ზომების მიღებლობისათვის, რასაც მოჰყვა მეცხოველეობის პროდუქტებისა და პურუყვის დანაკლისი, ყალბ საფუძველზე თანხების გაცემა და სხვა დარღვევები, წულუკიძის რაიონის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის დირექტორი ვ. კირთაძე გადაყენებულია თანამდებობიდან.

დაქვემდებარებული საწარმოების დირექტორი ბ. ღვინიაშვილი, ლენტეხის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გ. ტვილიანი და სხვები.

კადრებთან მუშაობის გაუმჯობესებას დიდად უწყობს ხელს დასაწინაურებელთა რეზერვის შექმნა. ამ მიზნით სპეციალური დებულების საფუძველზე კომიტეტის კადრებისა და საგარეო ურთიერთობის მთავარი სამმართველო გარკვეულ მუშაობას ეწევა დარგობრივ სამმართველოებთან, ადგილობრივ აგროსამრეწველო გაერთიანებებთან ერთად.

ამჟამად საქსახაგრომრეწვის ნომენკლატურული თანამდებობის რეზერვისათვის პარტიის რაიკომებთან შეთანხმებით შერჩეულია სისტემის 2.000-ზე მეტი ხელმძღვანელი მუშაკი და სპეციალისტი. ესენი ძირითადად არიან ახალგაზრდა, საქმის მცოდნე, უნარიანი და ინიციატივიანი ამხანაგები, რომლებიც სტაჟირებას გადიან დასაკავებელი თანამდებობის მიხედვით, კვალიფიკაციას იმაღლებენ სპეციალური პროგრამით, მონაწილეობენ კომპლექსურ შემოწმებებში, ამზადებენ საკითხებს კოლეგიაზე განსახილველად და ა. შ. მარტო შარშან და წლეულს რეზერვიდან დაწინაურდა 130-ზე მეტი მუშაკი. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ მოსაგვარებელია. ზოგან დაკმაყოფილდნენ მხოლოდ რეზერვთა სიების შედგენით. ცალკეულ რეგიონებში მეურნეობების, სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელებად რეკომენდაციას უწევენ ისეთ პირებს, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ სოფლის მეურნეობასთან და გადამმუშავებელ მრეწველობასთან, სარეზერვო კადრები კი კვლავ რეზერვად რჩება.

აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნა საქსახაგრომრეწვის მუდმივი ყურადღების ცენტრშია. ამასთან დაკავშირებული საკითხები დროდადრო განიხილება კომიტეტის კოლეგიის სხდომებზე. ამას წინათ კოლეგიამ განიხილა საკითხი, თუ როგორ გარდაქმნის სამრეწველო გაერთიანებებმა, საწარმოო-ორგანიზაციებმა საქართველოს ალკოჰოლიანი სასმელების მრეწველობის ორგანიზაციებმა შარშან ვერ უზრუნველყვეს მათთვის უმაღლეს სასწავლებლებში ლიმიტით გამოყოფილი ადგილებზე ახალგაზრდების მიღება.

ყოველწლიურად საქსახაგრომრეწვის სისტემაში ნაწილდება 1200-მდე უმაღლესი და 3. 000-მდე საშუალო-სპეციალური განათლების ახალგაზრდა სპეციალისტი. შარშან განაწილების ადგილზე დამკვიდრდა უმაღლესდამთავრებულთა 92 და ტექნიკუმდამთავრებულთა 78 პროცენტი. მაგრამ აქაც გვაქვს სერიოზული ხარვეზები. ყველგან არ სრულდება სადირექტივო ორგანოების დადგენილებები ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის შრომითი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ. ეს უმეტესად ეხებათ შუახევის, ოჩამჩირის, ახმეტის, ხულოს, ადიგენის, ქედის, სამტრედიის, ბორჯომის აგროსამრეწველო გაერთიანებებს.

საქსახაგრომრეწვის სისტემაში ყოველწლიურად კვალიფიკაციას იმაღლებს 5 ათასამდე სპეციალისტი. ეს რაოდენობა მიმდინარე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდება. 600-ზე მეტი კაცი გადამმუშავებელი მრეწველობიდან კვალიფიკაციას იმაღლებს სხვ. კავშირის სხვადასხვა ქალაქში. სისტემის 200 ხელმძღვანელი მუშაკი გადამზადებას გადის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში. ხორციელდება ღონისძიებები, რათა ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე ისეთ დონეზე დადგეს, რომ იგი ნამდვილად შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს, რომ სამეურნეო საქმიანობის ყველა უბანს, შრომითს კოლექტივს სათავეში უდგეს კარგი სპეციალისტი, ნოვატორული ფხიანობის ადამიანი.

თ. გილიგაშვილი,
საქსახაგრომრეწვის კადრებისა და საგარეო ურთიერთობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, ხელმძღვანელი კადრების სამმართველოს უფროსი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲬᲘᲜ

რთულ რელიეფსაც ათვისებგა უნდა!

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

გულისყურით გაეცანით გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 30 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ მასალებს. უდავოა ის პრინციპული შეფასება, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა აძლევენ რესპუბლიკის ბინათმშენებლობაში არსებულ მდგომარეობას. მოქალაქეობრივმა და პროფესიულმა მოვალეობამ გვიკარნახა, გამოგვეთქვა აზრი ამ მხრივ წამოჭრილი პრობლემების ერთ-ერთი შესაძლებელი გადაწყვეტის შესახებ.

გვსურს თქვენი ყურადღება მივაპყროთ რამდენიმე საკვანძო საკითხს, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა დროის აუცილებლობას წარმოადგენს. ამ საქმის გადაღება შემდგომში აუნაზღაურებელ ზარალს მიაყენებს ქალაქს, რესპუბლიკას, რასაც მომავალი თაობები არ გვაპატიებენ.

დღეს ჩვენი დედაქალაქი ვითარდება ძირითადად პერიფერიების ტერიტორიათა ხარჯზე, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ეკავა და ქალაქის თვისებურ ბელელს წარმოადგენდა.

ამავე დროს, თბილისის განაშენიანების ფარგლებში მოგვეპოვება ტერიტორიული რეზერვები, სადაც ბინათმშენებლობის მოცულობის დაახლოებით მესამედი შეიძლება განლაგდეს. ამჟამად ეს ტერიტორიები მშენებლობისათვის მიგვაჩნია იმ აუმოქმედებელი რეზერვებისადმი ზერელე დამოკიდებულება, რომლებიც ჩვენს სამშენებლო ინდუსტრიას გააჩნია.

რთული რელიეფსაც ათვისებგა უნდა!

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

დაუსაბუთებელი უგულებელყოფის შედეგად დავიწყებას ეძლევა სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშები და საპროექტო წინადადებები, რომელთა დამუშავებაზეც სახელმწიფო სახსრები და სპეციალისტთა ენერგია იხარჯება. ხშირ შემთხვევაში არაკომპეტენტური შეფასების შედეგად ფერხდება ან საერთოდ წყდება იმ პროექტების დაფინანსება, რომლებმაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უნდა დააჩქარონ.

ასეთი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა პროექტი, რომლის დამუშავებაც გადაწყვეტილი იყო თბილისის საზოგადოებრივი და საცხოვრებელი სახლების დაპროექტების ზონალურ სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში ამ წერილის ავტორების მონაწილეობით.

საქმე ეხება თბილისის ვაშლიჯვარის რაიონში ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის შექმნას. რთული რელიეფის ათვისების პრობლემასთან ერთად უნდა გადაწყვეტილიყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის ახალგაზრდა ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფონდის შექმნა მათივე უშუალო შრომითი მონაწილეობით.

აღნიშნული საკითხის მნიშვნელობის დასასაბუთებლად საკმარისია იმ დადგენილებათა განხილებაც, რომლებიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და სსრ კავშირის სახმშენმა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის თაოსნობითა და მეცადინეობით შესაძლებელი გახდა მომავალი კომპლექსის მშენებლობისათვის ტერიტორიის გამოყოფა, მისი ტოპოგრაფიული გადაღება და ტერიტორიის პასპორტის მომზადება. გამოვლინდა რეალური შემკვეთიც — საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველო.

ყოველივე ამის საფუძველზე ჩვენ შევადგინეთ საპროექტო დავალება, რომელმაც გაიარა შესაბამისი ინსტანციები და შეიჭრა... საქალაქო საბჭოს აღმასკომში, რომლის გადაწყვეტილებაც დაედო თავის დროზე (№ 26. 38. 773, 1986. 25 ნოემბერს) საფუძვლად ტერიტორიის გამოყოფას.

საპროექტო წინადადებამ, რომელიც საფუძვლად ედებოდა მომავალ პროექტს, თავის დროზე სპეციალისტთა, საზოგადოებრიობის, სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობის შემოწმება-შეფასების საკმაოდ გრძელი გზა განვლო. მოგახსენებთ ძირითადს: 1985-86 წლებში სსრკ არქიტექტორთა კავშირის და სახსამოქალაქოშენის მიერ ერთობლივად მოწყობილ საკავშირო კონკურსში, რომელიც რთული რელიეფისათვის განკუთვნილი ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლების პროექტების დამუშავებას მიეძღვნა, ზემოხსენებულმა პროექტმა პირველი პრემია დაიმსახურა. იგი რეკომენდებული იყო დასანერგავად. 1986 წლის ოქტომბერ-ნოემბერში პროექტი განიხილეს ზემოხსენებულ ინსტიტუტში, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში და თბილისის მთავარ არქიტექტურულ-დაგეგმარებ ი თ ს სამმართველოში ქალაქის მთავარი არქიტექტორის დონეზე.

1986 წლის 28 დეკემბერს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წარდგენებით პროექტი განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. აღინიშნა პროექტის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობა რთული რელიეფის ათვისების ტექნოლოგიური სისტემის დამუშავების მიზნით.

— ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (№4. 1987 წ.) არქიტექტურის დოქტორმა გ. ბერიძემ პროექტი შეაფასა როგორც ერთ-ერთი პროგრესული ნაბიჯი რთული რელიეფის ათვისების საქმეში.

1987 წლის 30 მაისს გაზეთმა „მოლოდოჟ გრუზიამ“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც განხილულია რთული რელიეფის ათვისების პრობლემა თბილისის სინამდვილეში და პროექტის გაუმართლებელი უგულებელყოფა, მისი დამუშავების გაჭიანურება.

გთხოვთ, სწორად გაგიგიოთ და ამ წერილს ნუ განიხილავთ, როგორც განაწყენებული ავტორების პოზიციას, რადგან საქმე ეხება არა მარტო კონკრეტული პროექტის რეალიზაციას, არამედ იმის ერთ-ერთ შესაძლებლობას, რომ ძირეული ცვლილებები შევიტანოთ მასობრივი საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის საქმეში.

დ. მახარობლიშვილი,
არქიტექტურის კანდიდატი,
გ. გიორგაძე.
არქიტექტორი.

მასობრივი ტირაჟით

გამოიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალები

გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ქართულ ენაზე მასობრივი ტირაჟით ცალკე ბროშურად გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მასალები.

ბროშურაში შევიდა საინფორმაციო ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება და საბოლოო სიტყვა, პლენუმის დადგენილებანი „ეკონომიკის მართვის ძირითადი ფორმების გადაქმნისათვის“ — „ეკონომიკის მართვის ძირითადი ამოცანების შესახებ“ და „სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის მოწვევის შესახებ“, აგრეთვე „ეკონომიკის მართვის ძირეული გადაქმნის ძირითადი დებულებანი“.

ბროშურა დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შრომის წოდელი დროშის ორდენოსან სტამბაში.

(საქინფორმი).

12 ივლისი მებადურის დღეა



სურათებზე: აჭარის თევზსაჭერი ფლოტის ერთ-ერთი ვეტერანი კაპიტან-ბრიგადირი გივი უკლება; სეინერი „ბეშუმი“ ღია ზღვაში. მისმა კოლექტივმა მებადურის დღისათვის 400 ტონა შავი ზღვის ქაფშია დაიჭირა.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲥᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲝᲛᲔᲬᲝᲜᲔᲑᲐ

ახალი წარმატებებით ეგებება პროფესიულ დღესასწაულს — მებადურის დღეს აჭარის თევზსაჭერი ფლოტის სამმართველოს რს-165 სეინერის „ბეშუმის“ მოწინავე კოლექტივი, რომელსაც დიდხანს მეთაურობდა ახოვ-შავი ზღვის აუზის ცნობილი მებადური, კაპიტან-ბრიგადირი გივი უკლება. ამ ღირსშესანიშნავ დღეს მის ანგარიშზეა დაახლოებით ოთხასი ტონა შავი ზღვის ქაფშია, მისგან აქ ამზადებენ ზეთში ჩადებულ შპროტის კონსერვებს, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა.

საკუთარ ბაზაზე ამ დელიკატესური პროდუქციის წარმოება დიდი ხნის წინათ იშვა, მაგრამ მისი ზორცშესმა მხოლოდ 1983 წელს შეძლეს. სწორედ მაშინ ბალოუშვილ ამ კონსერვების პირველი პარტია — 60 ათასი პირობითი ქილა. დღეს მათი წარმოების გეგმა: გიიზარდა რვაჯერ და მეტად, მაგრამ აჭარელმა მებადურებმა გადაწყვეტეს მიმდინარე წელს დაამზადონ 900 ათასი პირობითი ქილა ეს კონსერვი, რაც თითქმის ერთიორად აღემატება დავალებას.

— ჩვენ გვაქვს სხვა რეზერვებიც, — გვითხრა აჭარის ასსრ თევზსაჭერი ფლოტის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ზარმოების დარგში იზოლდა სილაგავამ. — ჯერჯერობით საპროექტო სიმძლავრით არ ამოქმედებულა ზეთიანი შებოლილი თევზის საამქრო, გაზაფხულის უამინდობამ და შტორმებმა კი სერიოზული კორექტივები შეიტანა თევზჭერაში — პირველ კვარტალში ჩვენმა თევზსაჭერმა ფლოტმა გეგმის დაიკლო ორი ათასი ტონა თევზი, რის შედეგად ვერ მივიღეთ თითქმის სამი მილიონი მანეთის პროდუქცია. ვაპირებთ გარეკვევა თავიდან ავიცილოთ წლის მეორე ნახევარში. უკვე ახლა ვამზადებთ ყოველ დღე-ღამეში სამ ტონამდე შებოლილ ნაწარმს, რაც საშუალო ნორმატივებს აღემატება.

გარდა ამისა, დადაწყვეტილი გვაქვს მომმზარებლები გავაცნოთ ახალი პროდუქციით, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, მომხმარებლები ღირსეულად შეაფასებენ. საქმე ეხება ზოგიერთი სახეობის კონსერვებს, რომელთა ხანგრძლივი შენახვა მიზანშეწონილი არ არის. ეს არის ქართულად, მწვანილითია და სანელებლებით დამზადებული თევზი, რომელიც დაფასოებული იქნება 280-გრამიან ბინის ქილებში. მისი ფასი ჯერ არ არის დამტკიცებული, მაგრამ მზად ვართ მიმდინარე წლის დამლევამდე გამოვუშვათ 20 ათასი პირობითი ქილა ეს პროდუქცია.

სიახლეთა შორის არის 250-გრამიანი ზეთიანი შებოლილი ქაფშია — არა მარტო განსაკუთრებით ყუათიანი, არამედ ძალზე გემრიელი პროდუქტი.

— მომავალი წლის პირველი იანვრიდან გადავდივართ სრულ სამეურნეო ანგარიშზე, და იმ პროდუქციის ასორტიმენტის განახლება, წარმოება, რომელზეც დიდი მოთხოვნაა, ჩვენი ფინანსური საქმიანობის საფინდარია, — თქვა აჭარის ასსრ თევზსაჭერი ფლოტის მთავარმა ინჟინერმა ნიკოლოზ ჩარკვიანმა. — ამ თვალსაზრისით გვაქვს პრობლემებიც, რომელთა გადაწყვეტა ყველაზე შემჭიდროებულ ვადებშია საჭირო. უწინარეს ყოვლისა უნდა განვთავისუფლდეთ „სრტი“ ტიპის ოთხი საოკეანო გემისაგან, რომლებიც ჩვენთვის ზარალიანია. მათი ღირებულება ათ მილიონ მანეთს აღემატება, ხოლო მარტო საამორტიზაციო ანარიცხები ყოველწლიურად მილიონ მანეთს შეადგენს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მათთვის გამოყოფილი არ არის სარემონტო ბაზა. ასეთი გემები — „სუეა“ და „ყირილა“ უკვე გადაეცით ნოვოროსიისკის თევზის სამრეწველო გაერთიანების ბალანსზე.

ჩვენ საერთოდ თავიდან უნდა მოვიშოროთ თითქმის 35 პროცენტი საცურაო ერთეული, რომლებსაც ვერ ვიყენებთ დიდი ხარჯების გამო.

იმის გამო, რომ არა გვაქვს დახურული ნავსადგური, ჩვენთვის საჭირბოროტო საკითხია დამცავი მოლოს მშენებლობაც. შტორმის დროს მალფუძებადი პროდუქციით დატვირთული თევზსაჭერი გემები დიდხანს დგანან რეიდზე და გამოდარებას ელოდებიან. არადა, თევზჭერის დროს ჩვენ ხომ დაახლოებით 700-800 ტონა თევზი უნდა გადავამუშაოთ! ამ საქმეში დახმარებას შეგვპირდა სსრ კავშირის თევზსაჭერი ფლოტის ხელმძღვანელობა. ეს გასაგებია: დამცავი მოლოს საორიენტაციო ღირებულება დაახლოებით ორი მილიონი მანეთია, მარტო ჩვენ რას გავზდებით.

მეურნეობრიობის ახალ პირობებში ყურადღების ცენტრშია სოციალური საკითხების გადაწყვეტაც. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, კოლექტივების მაგვრად მათს სოციალურ პრობლემებს ვერავინ ვერ გადაწყვეტს. ამიტომ ვაპირებთ უახლოეს მომავალში ავაგოთ კიდევ ერთი საცხოვრებელი სახლი მებადურთა ოჯახებისათვის და საბავშვო ბაღი.

აღინიშნავენ რა თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს, აჭარის თევზსაჭერი ფლოტის მუშაკებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალი შრომითი მიღწევებით აღინიშნონ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წელი.

თ. გენძეხაძე,
გ. კალანდაძე,
საქინფორმის კორ.

ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ

თვალწარმტაცი ბუნებაა ადიგენის რაიონში. აქ მთები და გორაკები ტყეებს დუფარავს, სადაც უხვად არის ნადირ-ფრინველი, წყაროები.

ადიგენის სატყეო მეურნეობა რესპუბლიკაში გამოირჩევა სიდიდით. აქაურ მეტყევეებსაც დიდი საზრუნავი აქვთ და ისინი თავიანთ მოვალეობას წარმატებით ასრულებენ — ტყეს იცავენ და უვლიან, ითვისებენ ახალ ფართობებს, რგავენ ხეებისა და ბუჩქების ნერგებს, ამზადებენ ხე-ტყის, მეცენატეთა თესლს...

მეურნეობას აქვს სატბორე და მეღორეობის ფერმა, რომლებიც წელს სამ ტონა თევზს და 16 ტონა ღორის ხორცს აწარმოებენ.

570.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გავაუმჯობესოთ ნედლეულის ხარისხი

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

დადგა მეორე ვეგეტაციის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ცხარე დღეები. ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები და მეჩაიე-მექანიზატორები ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილი პირველი ვეგეტაციის ფოთოლთან ერთად კრეფენ ახალი ვეგეტაციის ფოთოლს. დღითი დღე ძლიერდება კრეფის ტემპი. ამაზე მეტყველებს ოპერატიული მონაცემები: რესპუბლიკაში 8 ივლისს დამზადდა 1.119 ტონა ნედლეული, 9 ივლისს — 1.738, 10 ივლისს — 2.443 ტონა.

მაშ ასე, ჩაი უხვად შემოდის, საჭიროა მისი კრეფა დროულად, რომ დუყები არ გაუხუმდეს. არადა, ივლისში ჩაის ფოთოლი ხარისხოვანია, ესე იგი, ჩაის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის გადამწყვეტი თვე ივლისია, სწორედ ახლა პლანტაციებსა და ფაბრიკებში წყდება ჩაის ხარისხის ბედი. იგი მთლიანად დამოკიდებულია უპირველესად შეჩაიეთა და მრეწველობის მუშაკთა გარჯასა და კეთილსინდისიერებაზე.

ამასთან, არ უნდა შევანელოთ ბრძოლა და შრომა რაოდენობისათვის, იმისათვის, რომ ქვეყანას მივცეთ საიუბილეო წლის უხვი მოსავალი, გეგმითა და ვალდებულებით გათვალისწინებ უ ლ ი 570.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს რეალური გეგმა-ვალდებულება რომ არის, ამაზე მეტყველებს განსაკუთრებით ივნისში (წინა წლების ივნისთან შედარებით) სარეკორდო მოსავლის დამზადება. ამ პერიოდში მეჩაიეებმა პირველად დაამზადეს 188.640 ტონა ნედლეული, ვალდებულებით გათვალისწინებული 185.000 ტონის ნაცვლად.

საქართველოს სსრ სახფარმრეწვის ოპერატიული მონაცემებით, 11 ივლისისათვის რესპუბლიკაში სულ დამზადებულია 230.631 ტონა ნედლეული, ეს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 67.506 ტონით მეტია. ამ დროისათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთოლის წლიური გეგმა შესრულდა 40,4 პროცენტით, ივლისისა კი 24 პროცენტით. ივლისში სულ მოსაკრეფია 100.000 ტონა ჩაის ფოთოლი, მოკრეფილია 24.073 ტონა. ტემპის გაძლიერება მართებთ მეჩაიეებს.

მახარაძის რაიონში დამზადებულია 40.120 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ზუგდიდში — 30.391, გალში — 24.143, ქობულეთში — 21.024, ოჩამჩირეში — 16.313, ლანჩხუთში — 14.144, წალენჯიხაში — 13.186, ხელვაჩაურში — 10.665, ჩხოროწყუში — 10.450, გეგეჭკორში — 9.935, ჩოხატაურში — 6.881, ცხაკაიაში — 5.485, ხობში — 5.224, ტყიბულის ზონაში — 4.945, წყალტუბოს ზონაში — 4.638, წულუკიძეში — 3.844, გუდაუთაში — 3.708, ჯულრიფშში — 1.298

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲛᲔᲠᲘᲢᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ!

ᲔᲚᲘᲡᲝ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘᲐ

ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲝᲡᲕᲘᲓᲐ ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲘᲓᲐᲜ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲜᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲔᲚᲘᲡᲝ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ ᲚᲘᲡᲑᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ.

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.). ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲖᲔᲛᲘᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲘᲡᲘ ᲛᲐᲧᲣᲠᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲡᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲐᲛᲯᲐᲠᲐᲓᲐᲪ. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲛᲐ ᲡᲘᲮᲝᲜᲘᲡ ᲑᲝᲚᲛ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐᲓ ᲛᲐᲧᲣᲠᲑᲚᲘᲡ ᲣᲮᲩᲔᲜᲔᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲘᲓᲔᲑᲓᲐ.

ᲐᲮᲚᲝᲜ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲬᲐᲠᲓᲒᲐ ᲛᲐᲧᲣᲠᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲥᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲘᲠᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘ

ოქტომბერი

ფოტოები • მოგონებები

გფრ საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერვიუ

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა „დოიჩლანდ ფუნკის“ რადიოსადგურს მისცა ინტერვიუ, რომელშიც სსრ კავშირსა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პეზიდენტის რიჩარდ ფონ ვაიცზეკერის ვიზიტთან დაკავშირებით შეეხო საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის საკითხებს.

მოსკოვში გამართული საუბრების ერთობლივი შეფასებისას, თქვა გენშერმა, ორივე მხარემ გამოთქვა ურთიერთობის კარდინალური გაუმჯობესების სურვილი. მე მგონი, სწორედ ეს არის ამ ვიზიტის ძირითადი შედეგი. ორივე მთავრობა მზერას მომავალს მიაპყრობს. ორივე დაინტერესებულია საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის ფუძემდებელი გაუმჯობესებით. ეს მნიშვნელოვანი და საჭირო არა მარტო ჩვენთვის, არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ მთლიანად ევროპის მდგომარეობისათვის. ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობა — როგორც კარგი, ისე ცუდი, — გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენს მდგომარეობაზე მთელ ევროპაში.

მინისტრმა უარყო მონაჭორები, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოითქვა რ. ფონ ვაიცზეკერის ვიზიტის დროს და რომლებიც ამახინჯებდნენ ორი ქვეყნის ურთიერთობის არსს. ამ მონაჭორებში, აღნიშნა მან, არ მონაწილეობდნენ არც ფედერალური მთავრობა და არც ფედერალური პრეზიდენტი. ჩვენ სრულიად რეალისტურ პოლიტიკას ვადგავართ და გაცნობიერებული გვაქვს მის ფარგლებში ის შანსები, რომლებიც ჩვენს ურთიერთობას ენენება აქ, საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნისა და საჯაროობის პოლიტიკის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირი, რომელიც საჯაროობას აკეთებს ქვეყნის შიგნით და პირს იბრუნებს საზღვარგარეთისაკენ, ჩვენთვის ხომ, უთუოდ, გაცილებით უკეთესი პარტნიორია. ამასთან, უკეთესი პარტნიორია არა მარტო ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ თუ კულტურულ თანამშრომლობაში, არამედ ისეთი დიდი ამოცანების გადაწყვეტაშიც, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას განიარაღების დარგში, ომის თავიდან აცილებისა და სიცოცხლის ბუნებრივი საფუძვლების უზრუნველყოფის სფეროში. ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, ისეთ ზღვარს მივაღწიეთ, როცა მხოლოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის თანამშრომლობას შეუძლია მოგვცეს კაცობრიობის გადარჩენის გარანტია. საამისოდ კი ახალი საბჭოთა პოლიტიკა უნდა გამოვიყენოთ. და ამიტომ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ „ღია კარის“ ასეთი პოლიტიკა დასავლეთის ინტერესებსაც შეესაბამება. თუ ეს პოლიტიკა ახლა უფრო მოქნილი გახდა და თუ იგი მზად არის ზელი აიღოს ყოველივე მოძველებულზე და ეძებოს საახლო როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს სულმოკლედ ან უნდობლად გავდგეთ განზე; პირიქით, ჩვენ სრულად უნდა გამოვიყენოთ ამ პოლიტიკით შექმნილი შანსები.

ვიზიტი დამთავრდა

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დელეგაცია გვინეაში

კონაკრი. გვინეაში დამთავრდა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დელეგაციის ვიზიტი, რომელსაც მეთაურობდა საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. დ. ალექსიძე.

დელეგაცია მიიღეს: მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა, გვინეის ეროვნული აღორძინების სამხედრო კომიტეტის მუდმივმა მდივანმა კერფალა კამარამ და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებმა. გაიმართა აზრთა გაზიარება თანამდროვე ეტაპზე მშვიდობისათვის ბრძოლის აქტუალური პრობლემების გამო. დელეგაციის წევრებმა ილაპარაკეს საბჭოთა მშვიდობის მომხრეთა საქმიანობაზე, გვინეის მხარეს გააცნეს სსრ კავშირის ინიციატივები, რომელთა მიზანია გამალებული მომავალ მატჩ-ტურნირში თამაშის უფლება — პირველს, როგორც მსოფლიო პირველობაზე უკანასკნელი მატჩის მნაწილეს, ნანას კი, როგორც პრეტენდენტთა უკანასკნელი პაექრობის მეორე პრიზიორს.

დღეისათვის 32 დიდოსტატი და ოსტატი ინარჩუნებს საზონთშორისო ასპარეზობაში გამოსვლის უფლებას. ისინი ფიდეს ატორიტეტულმა კომისიამ ორ, დაახლოებით თანაბარ ჯგუფად გაანაწილა და ორივეს მასპინძლობა იუგოსლავიის საჯადრაკო ორგანიზაციას დაავალა. ფიდეს სამდივნო იუწყება, რომ პირველი საზონთშორისო ტურნირი 15 ივლისიდან ქალაქ სმედერევსკა-პალანკაში გაიმართება, მეორე კი 17 ივლისიდან — ქალაქ ტუზლაში. სამ-სამი გამარჯვებული თითოეული ჯგუფიდან პრეტენდენტის უფლებებს მიიღებს და გაისად ახმილოესკაიისა და ალექსანდრიას შეუერთდება...

სმედერევსკა-პალანკაში 4 საბჭოთა მოჭადრაკე გამოდის. მას შემდეგ, რაც ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიო ჩემპიონობას გამოეთხოვა, იგი თითქმის ყველგან დიდი წარმატებით თამაშობდა—საკავშირო ჩემპიონატში, ოლიმპიადებში, საერთაშორისო ტურნირებში. თითქმისო, ვამბობთ იმიტომ, რომ ერთი სერიოზული მარცხი ნონას მაინც ჰქონდა — ეელეზნოვოდსკის საზონთშორისო ტურნირში, სადაც სრულიად მოულოდნელად პირველ სამეულში ვერ მოხვდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შემთხვევითი შედეგი იყო. ახლა ნონამ, სტაბილურად, თანაბრად რომ თამაშობს, უნდა დაიკავოს ერთ-ერთი საპრიზო ადგილი და განაგრძოს ბრძოლა მსოფლიო პირველობისათვის, თუმცა, როგორც მკითხველი თავად დარწმუნდება, კონკურენცია დიდი იქნება. ცნობილ დიდოსტატ ირინე ლევიტინს, მას შემდეგ, რაც 1984 წელს მსოფლიო პირველობაზე მატჩი ითამაშა, თავი არაფრით გამოუჩენია. რა თქმა უნდა, 33 წლის ლევიტინა სულაც არ იღებს ზელს მსოფლიო ჩემპიონთან ახალი მატჩის თამაშის პრეტენზიებზე. მარტა ლიტინსკაია, პრეტენდენტების ასპარეზობის მრავალგზის მონაწილე, 38 წლისაა. შარშან მალმიოში მან ზედმეტად აგრესიულად ითამაშა, ერთხანს ლიდერობდა კიდეც პრეტენდენტთა ტურნირს, მაგრამ ბოლომდე ძალები აღარ ეყო. ლვოვი ზოია ელეჩუკი ახალგაზრდა მოჭადრაკეა, მაგრამ უკვე შეძლო რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში გაემარჯვა.

რა თქმა უნდა, მარტო საბჭოთა მოჭადრაკეებში არ ამოიწურება პრეტენდენტთა ასპარეზობის საგზურების მსურველთა რიცხვი. ფეიცაროის წარმომადგენელი ტატიანა ლემაჩკო ადრე არაერთგზის თამაშობდა პრეტენდენტთა ასპარეზობაში. ეს ბოლოს ... ...